


---

სკოლის

II კლასის მოსწავლე

---



## 12 მიზნობრივად ერთნიშნა რიცხვი

### გაკვეთილი 1

1 შეავსეთ სწორად ცარიელი უჯრები:

$20 + \square = 29$

$30 + 7 = \square$

$\square + 60 = 67$

$40 + 6 = \square$

$30 + \square = 38$

$6 + 80 = \square$

$40 + \square = 42$

$\square + 60 = 63$

$\square + 80 = 83$

2 შეასრულეთ მოქმედებები რიცხვითი სხივის გამოყენებით:

$25 + 6 = \square$

25

$38 + 3 = \square$

38

$57 + 5 = \square$

57

$69 + 4 = \square$

69

3 გიამ წიგნებში 12 ლარი გადაიხადა. ნიამ იყიდა გიაზე 1-ით მეტი წიგნი. თითო წიგნი 6 ლარი ღირს. რა თანხა გადაიხადა ნიამ?

4 ყოველ ფუთაში 10 პერანგია. მაღაზიაში მიიტანეს გასაყიდად 4 ასეთი ფუთა და კიდევ 7 პერანგი. რამდენი პერანგი მიიტანეს გასაყიდად მაღაზიაში?

5 ნიკას მამა 47 წლისაა. რამდენი წლის იქნება ნიკას მამა 6 წლის შემდეგ?

## გაკვეთილი 2

1 გამოიყენეთ წინ თვლა და შეასრულეთ შეკრება:

ნიმუში

$$52 + 4$$

--	--	--	--

$$52 + 4 = 56$$

$$38 + 5$$

--	--	--	--	--

$$38 + 5 =$$

$$79 + 3$$

--	--	--

$$79 + 3 =$$

$$57 + 6$$

--	--	--	--	--	--

$$57 + 6 =$$

2 გამოიყენეთ რიცხვითი ღერძი და იპოვეთ უცნობი შესაკრები:

$$46 + \square = 49$$

46

$$38 + \square = 42$$

38

$$57 + \square = 63$$


57

$$91 + \square = 97$$

91

3 თორნიკეს ბიბლიოთეკაში 52 წიგნი ჰქონდა; დაბადების დღეზე მას კიდევ 7 წიგნი აჩუქეს. ახლა რამდენი წიგნი აქვს თორნიკეს?

ამოცანის ამოსახსნელად ჩაწერეთ რიცხვითი გამოსახულება და გამოთვალეთ მისი მნიშვნელობა რიცხვითი სხივის საშუალებით:



4 დავითს აქვს 4 ცალი ათლარიანი, 1 ცალი ხუთლარიანი და ორლარიანი. მას 7 ლარი აკლია პერანგის საყიდლად. რა ღირს პერანგი?

5 6 ათეული და 8 ერთეული გაადიდეთ 3 ერთეულით. რა რიცხვი მიიღეთ?

### გაკვეთილი 3

1 შეკრიბეთ:

ათეულები	ერთეულები
+	4
	5
_____	

ათეულები	ერთეულები
+	1
5	8
_____	

ათეულები	ერთეულები
+	4
6	3
_____	

ათეულები	ერთეულები
+	6
7	2
_____	


2 შეკრიბეთ:

$$\begin{array}{r}
 36 \\
 + 3 \\
 \hline
 \end{array}
 \quad
 \begin{array}{r}
 47 \\
 + 1 \\
 \hline
 \end{array}
 \quad
 \begin{array}{r}
 83 \\
 + 5 \\
 \hline
 \end{array}
 \quad
 \begin{array}{r}
 94 \\
 + 2 \\
 \hline
 \end{array}
 \quad
 \begin{array}{r}
 41 \\
 + 4 \\
 \hline
 \end{array}
 \quad
 \begin{array}{r}
 74 \\
 + 3 \\
 \hline
 \end{array}$$


3 შეკრიბეთ თვლის გამოყენებით:

$$\begin{array}{lll}
 43 + 6 = & 23 + 7 = & 35 + 5 = \\
 84 + 2 = & 67 + 4 = & 49 + 5 = \\
 79 + 4 = & 78 + 3 = & 52 + 5 =
 \end{array}$$

4 ბესიკმა პირველი ხიდან მეორემდე მისასვლელად 76 ნაბიჯი გადადგა, მეორე ხიდან მესამემდე — 9 ნაბიჯი. სულ რამდენი ნაბიჯი გადადგა ბესიკმა პირველიდან მესამე ხემდე მისასვლელად?



5 შეავსეთ სწორად ცარიელი უჯრები:



### 13 გამოვაკლოთ ერთნიშნა რიცხვი

#### გაკვეთილი 1

1 შეასრულეთ გამოკლება უკუთვლით:

$59 - 4 = \square$	
$63 - 5 = \square$	
$72 - 3 = \square$	
$56 - 8 = \square$	

2 შეასრულეთ გამოკლება:

-	ათეულები	ერთეულები	-	ათეულები	ერთეულები
	7	8		6	9
		6		5	
-	ათეულები	ერთეულები	-	ათეულები	ერთეულები
	2	6		5	7
		5		5	

**3** შეავსეთ სწორად ცარიელი უჯრები:

ათეულები	ერთეულები
2	6
2	9

ათეულები	ერთეულები
9	2
9	7

ათეულები	ერთეულები
7	6
7	1

ათეულები	ერთეულები
8	9
8	4

$$\begin{array}{r} + 52 \\ \square \\ \hline 57 \end{array}$$

$$\begin{array}{r} - 64 \\ \square \\ \hline 60 \end{array}$$

$$\begin{array}{r} - 56 \\ \square \\ \hline 51 \end{array}$$

$$\begin{array}{r} + 67 \\ \square \\ \hline 69 \end{array}$$

$$\begin{array}{r} + 81 \\ \square \\ \hline 85 \end{array}$$

$$\begin{array}{r} - 70 \\ \square \\ \hline 64 \end{array}$$

**4** 68-ლარიანი ქურთუკი 7 ლარით გაიფდა. რა ღირს ახლა ქურთუკი? ამოცანის ამოსახსნელად შეადგინეთ რიცხვითი გამოსახულება და გამოთვალეთ მისი მნიშვნელობა.

**5** თეა 27 წლისაა. მან 5 წლის წინ დაამთავრა უნივერსიტეტი. რამდენი წლის იყო თეა, როცა უნივერსიტეტი დაამთავრა?

## გაკვეთილი 2

**1** გამოიყენეთ უკუთვლა და გამოაკელით:

57 - 5
<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>
57 - 5 = <input type="text"/>

71 - 4
<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>
71 - 4 = <input type="text"/>

$40 - 3$

$40 - 3 = \square$

$32 - 6$

$32 - 6 =$

$91 - 2$

$91 - 2 = \square$

$83 - 4$

$83 - 4 =$

**2** შეასრულეთ მოქმედებები:

$21 - 3$

$40 - 6$

$61 - 5$

$93 - 4$

$21 + 9$

$40 + 9$


$61 + 6$

$93 + 2$

**3** შეავსეთ ცარიელი უჯრები:



$53 - 5 = \square$



$44 - \square = \square$



$72 - \square = \square$



$67 - \square = \square$


**4** გიორგიმ ამოცანები ამოხსნა 45 წუთში, სანდრომ — 7 წუთით ნაკლები დრო მოანდომა. რამდენ წუთში ამოხსნა ამოცანები სანდრომ?

**5** ცეკვაზე დადის 65 მოსწავლე, სპორტზე — 8-ით ნაკლები. რამდენი მოსწავლე დადის სპორტზე?




### გაკვეთილი 3

**1** მოცემულია რიცხვითი სხივი. მასზე მონიშნულია ის შუალედი, რომელშიც არის 10-ზე მეტი და 20-ზე ნაკლები რიცხვები განლაგებული.




- შეავსეთ ცარიელი უჯრები;
- მონიშნეთ ის შუალედი, რომელშიც არის რიცხვი 57;
- მონიშნეთ ის შუალედი, რომელშიც არის 30-ზე მეტი და 40-ზე ნაკლები რიცხვები განლაგებული.



რიცხვით სხივზე მონიშნულია ის წერტილები, რომლებიც 3-დან 10-ის ბიჯით თვლისას მიღებულ რიცხვებს შეესაბამება.

- შეავსეთ ცარიელი უჯრები.
- დაასახელეთ სხივზე მონიშნული ყოველი რიცხვის ერთეულების ციფრი.



მონიშნეთ რიცხვით სხივზე შემდეგი რიცხვების შესაბამისი წერტილები (მიახლოებით): 51, 65, 38, 31, 12, 76, 89, 95.

**4** ცოტნე ახლა 40 წლისაა.

რამდენი წლის იყო ცოტნე 10 წლის წინ?

რამდენი წლისა იქნება იგი 10 წლის შემდეგ?

მარინე ცოტნეზე 2 წლით უმცროსია. რამდენი წლისაა ახლა მარინე?

5 კაბა გაძვირდა 7 ლარით და ახლა 40 ლარი ღირს. რა ღირდა კაბა გაძვირებამდე?

## 14 ვითვლით და ვუმატავთ ათეულს

### გაკვეთილი 1

1 ჩანერეთ ზრდის მიხედვით ყველა ორნიშნა რიცხვი, რომელიც 7-ით ბოლოვდება.

რა კანონზომიერებას ამჩნევთ? რიცხვები იზრდება -ით.

2 შეასრულეთ მოქმედებები:

$32 + 20 =$

$54 + 30 =$

$40 + 36 =$

$46 + 10 =$

$63 + 20 =$

$20 + 28 =$

3 შეავსეთ სწორად ცარიელი უჯრები:

	ათეულები	ერთეულები
+	4	7
	2	0

	ათეულები	ერთეულები
+	7	1
	1	0

	ათეულები	ერთეულები
+	8	6
	1	0


	ათეულები	ერთეულები
+	3	7
	4	0

4 სოფიკო ფანქრებს ორ ყუთში ინახავს. ერთში 42 ფანქარი აქვს, მეორეში — 20. სულ რამდენი ფანქარი აქვს სოფიკოს?

5 სკოლაში ორი მეორე კლასია. ერთში 27 მოსწავლეა, მეორეში — 30. სულ რამდენი მეორეკლასელია სკოლაში?

## გაკვეთილი 2

1 შეავსეთ სწორად ცარიელი უჯრები:



2 შეავსეთ სწორად ცხრილის ცარიელი უჯრები:

	ათეულები	ერთეულები
+	4	1
		0
	6	1

	ათეულები	ერთეულები
+	3	9
		0
	5	9

	ათეულები	ერთეულები
+		3
	4	0
	8	3

	ათეულები	ერთეულები
+		
	7	0
	9	2

	ათეულები	ერთეულები
+	6	9
	8	9

3 იპოვეთ უცნობი შესაკრები:

$$48 + \square = 68 \quad 56 + \square = 96 \quad \square + 10 = 45$$

$$33 + \square = 53 \quad 38 + \square = 88 \quad \square + 40 = 89$$

4 როცა გემიდან 10 ტურისტი ნაპირზე ჩავიდა, გემზე დარჩა 27. რამდენი ტურისტი იყო ამ გემზე ტურისტების ჩასვლამდე?

5 ერთ თაროზე 34 წიგნია, მეორეზე — 6-ით მეტი.

• რამდენი წიგნია მეორე თაროზე?

• რამდენი წიგნია ორივე თაროზე ერთად?

### გაკვეთილი 3

1 შეასრულეთ მოქმედებები:

$$34 + 40 = \quad 58 + 20 = \quad 37 + 50 =$$

$$71 + 10 = \quad 79 + 10 = \quad 41 + 30 =$$

2 შეავსეთ სწორად ცარიელი უჯრები:

$$\begin{array}{r} 49 \\ + \square 0 \\ \hline 59 \end{array}$$

$$\begin{array}{r} 37 \\ + \square 0 \\ \hline 57 \end{array}$$

$$\begin{array}{r} \square 9 \\ + 30 \\ \hline 59 \end{array}$$

$$\begin{array}{r} 4\square \\ + 30 \\ \hline 73 \end{array}$$

3 მერაბს 40 ლარი აქვს, დოდოსაც — ამდენივე. მერაბმა დოდოს 10 ლარი მისცა. რამდენი ლარით მეტი აქვს ახლა დოდოს?

4 წიგნში ორი მოთხრობაა. პირველი მოთხრობა 46-გვერდიანია, მეორე — 30-გვერდიანი. სულ რამდენი გვერდი დაიკავეს ამ მოთხრობებმა?

5 20 წლის წინ ვახო ბაბუა 47 წლის იყო. რამდენი წლისაა იგი ახლა?

# 15 გამოვაკლოთ ათეულები

## გაკვეთილი 1

1

0	10	20	30	40	50	60	70	80	90
1	11	21	31	41	51	61	71	81	91
2	12	22	32	42	52	62	72	82	92
3	13	23	33	43	53	63	73	83	93
4	14	24	34	44	54	64	74	84	94
5	15	25	35	45	55	65	75	85	95
6	16	26	36	46	56	66	76	86	96
7	17	27	37	47	57	67	77	87	97
8	18	28	38	48	58	68	78	88	98
9	19	29	39	49	59	69	79	89	99

გამოიყენეთ ცხრილი და უპასუხეთ კითხვებს:

- პირველად რა რიცხვი დასახელდება ათეულებით წინ თვლისას 42-ის შემდეგ?
- პირველად რა რიცხვი დასახელდება ათეულებით უკუთვლისას 65-ის შემდეგ?
- რას უდრის ათეულების ციფრი მარცხნიდან მესამე სვეტის რიცხვებში?
- რომელ სვეტშია განლაგებული ორნიშნა რიცხვები, რომელთა ათეულების ციფრი 6-ის ტოლია?

2 გამოიყენეთ უკუთვლა ათეულებით (მასში ცხრილი დაგეხმარებათ) და შეასრულეთ გამოკლება:

$$56 - 20 = \quad 49 - 10 = \quad 72 - 30 = \quad 82 - 40 =$$

3 ცხრილის მიხედვით უპასუხეთ კითხვას:

- მარცხნიდან რომელ სვეტშია რიცხვები, რომლებიც მოთავსებულია 43-სა და 48-ს შორის?
- ჩანერეთ ეს რიცხვები: ...

**4** ჩამონერეთ რიცხვები 0-დან 99-ის ჩათვლით, რომელთა ციფრთა ჯამი არის 5. მონიშნეთ ისინი ცხრილში, აღწერეთ ზეპირად მათი განლაგება.

ანალოგიური დავალება შეასრულეთ, როცა ციფრთა ჯამია 7; როცა ციფრთა ჯამია 9.

**5** ცხრილის დახმარებით ამონერეთ ყველა ორნიშნა რიცხვი, რომლის ათეულების ციფრი 2-ით მეტია ერთეულების ციფრზე. მონიშნეთ ისინი ცხრილში და დაუკვირდით მათ განლაგებას.

ანალოგიური დავალება შეასრულეთ, როცა ორნიშნა რიცხვის ათეულების ციფრი 4-ით მეტია ერთეულების ციფრზე.

## გაკვეთილი 2

**1** შეასრულეთ გამოკლება:

	ათეულები	ერთეულები
–	8	7
	3	0

	ათეულები	ერთეულები
–	7	6
	2	0

	ათეულები	ერთეულები
–	5	5
	4	0

	ათეულები	ერთეულები
–	8	1
	5	0

**2** შეასრულეთ მოქმედებები:

$$(29 + 5) - 10 =$$

$$(49 + 2) - 20 =$$

$$(80 + 3) - 40 =$$

$$(43 + 4) - 30 =$$

$$(78 + 1) - 50 =$$

$$(38 + 4) - 20 =$$

**3** ვაგონში 53 მგზავრი იყო. გაჩერებაზე 20 ჩავიდა. რამდენი მგზავრი დარჩა ვაგონში?

**4** მარკეტში რვეულების 8 შეკვრა მოიტანეს, თითო შეკვრაში იდო 10 რვეული. გაიყიდა 3 შეკვრა და კიდევ 6 ცალი რვეული. რამდენი რვეული დარჩა მარკეტში?

**5** მერი 30 წლისაა, ნინო — 20-ის. ამ ასაკების ჯამს რუსუდანმა მიუმატა თავისი ასაკი და მიიღო 66 წელი. რამდენი წლისა ყოფილა რუსუდანი?

---

### გაკვეთილი 3

---

**1** ნიკას თეონაზე 2 ლარით მეტი აქვს. ერთად მათ 42 ლარი აქვთ. რამდენი ლარი აქვს ნიკას?

**2** თორნიკემ დახარჯა მთელი თავისი თანხის ნახევარი და დარჩა 30 ლარი. რამდენი ლარი ჰქონდა თორნიკეს თავდაპირველად?

**3** სამშაბათს ქეთიმ დახარჯა იმდენივე ლარი, რამდენიც ორშაბათს; ოთხშაბათს დახარჯა 8 ლარი. სულ ამ სამ დღეში ქეთიმ დახარჯა 88 ლარი. რამდენი ლარი დახარჯა ორშაბათს?

4 შეასრულეთ მოქმედებები:

$$(50 - 3) - 20 = \quad (36 + 5) - 10 =$$

$$(80 - 1) - 60 = \quad (68 + 6) - 70 =$$

$$(40 - 8) + 20 = \quad (90 - 5) - 50 =$$

5 ზურაბისა და სანდროს წლოვანებების ჯამი ახლა 27 წელია. იპოვეთ მათი წლოვანებების ჯამი 1 წლის შემდეგ?

## 16 შევკრიბოთ ორნიშნა რიცხვები

### გაკვეთილი 1

1 შეკრიბეთ ქვეშმინერით:

$$\begin{array}{r} 62 \\ + 35 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 51 \\ + 27 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 72 \\ + 6 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 45 \\ + 3 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 26 \\ + 72 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 30 \\ + 47 \\ \hline \end{array}$$

2 შეავსეთ ცარიელი უჯრები:

$$\begin{array}{r} 35 \\ + \square\square \\ \hline 56 \end{array} \quad \begin{array}{r} 4\square \\ + 31 \\ \hline 78 \end{array} \quad \begin{array}{r} 2\square \\ + \square 4 \\ \hline 76 \end{array} \quad \begin{array}{r} \square 3 \\ + 2\square \\ \hline 88 \end{array} \quad \begin{array}{r} \square 8 \\ + 6\square \\ \hline 98 \end{array}$$

3 კლასში 17 გოგონაა და 4-ით მეტი ვაჟი.

რამდენი ვაჟია კლასში?

რამდენი მოსწავლეა კლასში?

4 გაზაფხულზე ერეკლემ 23 ნერგი დარგო, გიგიმ — 2-ით მეტი. რამდენი ნერგი დარგეს ერეკლემ და გიგიმ ერთად?



5 პირველი შესაკრებია 41, მეორე შესაკრები — 25. იპოვეთ ჯამი.

## გაკვეთილი 2

1 შეასრულეთ მოქმედებები:

$$(43 - 20) + 44 = \qquad (82 - 40) + 37 =$$

$$(61 + 28) - 50 = \qquad (35 + 21) - 6 =$$

$$(21 + 57) - 20 = \qquad (38 + 41) - 60 =$$

2 იპოვეთ უცნობი შესაკრები:

ათეულები	ერთეულები
3	8
+	
5	9

ათეულები	ერთეულები
1	6
+	
8	8

ათეულები	ერთეულები
5	1
+	
7	8

ათეულები	ერთეულები
3	1
+	
7	9

ათეულები	ერთეულები
2	6
+	
9	6

3 შეადარეთ 32-ისა და 57-ის ჯამი 85-ს.

4 შეავსეთ სწორად ცარიელი უჯრები:

